საქართველოს საავტომობილო-რაინდული ფედერაციის

ეროვნული გამოცემა

ეროვნული

გამოდის 1988 წლის 31 ოქტომბრიდან

ინფორმაცია თვეში ერთხელ

სექტემბერი 1989

№ 2181

ლაბირინთი

"...ნაბეთის ნამოსიდებლობის მოპარვას ხელს ვერ შეუშლის ვერავითარი ძალა..." გვ.2, მიმართავს ლაგვიენ ელს.

"...ყოველმა აბრეშუმმა და ოკეანემა უნდა გაიგოს - მინობის ბაბი ნასრულია..." გვ.2, მიმართავს ლიგვიენ ელს.

"...ვერავინ ნაუღგება ფინ ღმერთის მიერ მოკვეულ მავისუფლებას..." გვ.2-3, მიმართავს ესტონელ ელს.

"...ენიაგური გაერთიანება მთელს პასუხისმგებლობას აკისრებს სარა ოგაკარბიას..." გვ.3, წერა გ.გუნდარიძეს.

"...მიზანი ნამეღია - საქართველოს მავისუფლება და ნამოსიდებლობა..." გვ.3-4, მიმართავს უმაღ. საბჭოს სესიას.

"...ჩემი გამელილი ხალხის სახელით მოგიწოდებთ:"ძმაო ოკეანია..." გვ.4-5, ოლგერ ძენიგისის სიტყვა.

"...პროფესიის ჩაგარება ნანიშნულია 1989 წლის სეზონებთან-ოქმოგრეში..." გვ.6, წოდერ ნასაბის გასაუბრება.

"...ოლიმპიის ჩინგერენციის ოეზოლუციები..." გვ.6, საბი ოეზოლუცია, მიღებული ოიგაში 1989 წლის 22 აგვისტს.

"...მრავალკარგიანი სისტემის გარეშე შეუძლებელია მეიმგამოკვეა..." გვ.7-8, ირაკლი შანგელიას სიტყვა.

"...ამორალური და უზენა საბე ოესული გრძნეიზმისა..." გვ. 8-9, ოიგაში ნამოვანი სიტყვის კონტანტი.

"...ვერსალის ჩინგერენციის შემაღლესა საბაჭო სანი საქართველო..." გვ.9-11, ოგენაკაზ ფარული ბიბლიოგრაფია.

"...ან მეკადრება

ოფიციალური განცხადებები

პროტესტი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს!

სტალინიზმი მოქმედებდა, მოქმედებს და იმოქმედებს!

მხოლოდ ასეთ შეფასებას იმსახურებს განცხადება, რომელიც მიმართული იყო ბალტიის ერებისადმი, მაგრამ წაკითხული იქნა ყველას გასაგონად. ამ პოლიტიკურმა დემარშმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არც ისე ადვილია იმპერიული ამბიციების გარდაქმნა თანასწორობისა და კეთილმეზობლობის მშვიდობიან გრძნობად—თუკი საერთოდ შესაძლებელია ამგვარი გარდაქმნა.

ისტორიული განვითარება ერთი პიროვნების, პარტიის ან სახელმწიფოს სურვილზე არ არის დამოკიდებული. მსოფლიო თავად წყვეტს, რა გზით უნდა წავიდეს იგი და როგორი იქნება ერთა თანაცხოვრების პრინციპები მომავალში.

კაცობრიობამ აირჩია ისინი—ერისა და პიროვნების თავისუფლება. ამ პრინციპების საერთაშორისო ცხოვრების რეალურ სტრუქტურაში დამკვიდრებას ხელს ვერავინ შეუშლის, ვერცერთი ძალა. ბალტიის ქვეყნების—ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის—მისწრაფება თავისუფლებისადმი გასაგებია საქართველოს, სომხეთის, უკრაინის, მოლდავეთისათვის. ყველა ღრმადაა დარწმუნებული, რომ განცხადება არ გამოხატავს დემოკრატიული რუსეთის დამოკიდებულებას მიმდინარე პროცესებისადმი—მას ისევე სჭირდება თავისუფლება, როგორც სხვებს.

პოლიტიკური დემარშის შეურიგებელი ხასიათი შეურაცხყოფს არა მხოლოდ ლატვიელების, ლიტველების, ესტონელების, ასევე ქართველების, სომხების, უკრაინელების, მოლდაველების და თავად რუსების ეროვნულ სიამაყეს.

მაგრამ იმპერია წარმავალია, ხოლო თავისუფლება მარადიული—როგორც იდეა და როგორც მიზანი!

საბოლოო სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის!

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია
საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი

01.09.1989 წ. ქ. თბილისი

მიმართვა

ლატვიელ ერს! ლატვიის ყველა ოპოზიციურ ძალას!

ყოველმა ერმა თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე უნდა გადაჭრას თავისი მომავალი არსებობის პრობლემა. თუ დასავლეთის სახელმწიფოებმა ასეული და ათეული წლის წინ მოაგვარეს ეს პრობლემა, დღეს მსოფლიოში არსებობენ ერები, რომლებმაც თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა უნდა გაიარონ.

გვესმის, რომ ლატვიელი ერის ცხოვრება იმითაცაა გართულებული, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ წარმოებული ასიმილატორული პოლიტიკის წყალობით იგი უმცირესობას წარმოადგენს საკუთარ მიწაზე. იმპერიული დამოკიდებულება ლატვიელი ერისადმი დაუფარავად გამოვლინდა ლატვიაში შექმნილი "სამოქალაქო კომიტეტების" შესახებ გაკეთებულ განცხადებაში. ეს კომიტეტები ხომ ლატვიელთა სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე დაარსდა.

ლატვიის დამოუკიდებლობის მოძრაობას ხელს ვერ შეუშლის ვერავითარი ძალა, როგორი მძლავრიც არ უნდა იყოს იგი რადგან არაფერია ღმერთის მიერ ბოძებულ ერისა და პიროვნების თავისუფლებაზე ძლიერი.

საქართველოს ყველა ოპოზიციური ძალა, მათ შორის საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი, მხარს უჭერს ლატვიელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენ თქვენს გვერდით ვართ!
ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია
საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი

01.09.1989 წ. ქ.თბილისი

მიმართვა

ლიტველ ერს! ლიტვის ყველა ოპოზიციურ ძალას!

ნება გვიბოძეთ გამოვხატოთ ჩვენი აღფრთოვანება იმ უკომპრომისო ბრძოლით, რომელსაც ლიტველი ერი ეწევა თავისუფლებისათვის. ლიტველთა შეუდრეკელობა უმაღლესი მიზნის—ლიტვის სახელმწიფოებრიობის აღდგენის მისაღწევად, ახლოა ქართველებისა და ყველა იმ ერისათვის, რომელიც სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვის.

ვიმედოვნებთ, რომ გამოვხატავთ მთელი ქართველი ერის ნებას და მხარს ვუჭერთ თქვენს მოძრაობას მონობის ბორკილებიდან განთავისუფლებისათვის. თავს უფლებას ვაძლევთ დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს ყველა ოპოზიციური ძალა და მათ შორის, საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი, თქვენს გვერდით დგას.

იმპერიული წრეები ვერ ეგუებიან თავისუფლებას. დაშინება, რომელსაც ისინი მიმართავენ, გვეხება ჩვენც და ასევე ყველას, ვინც ცდილობს ცხოვრებაში ჭეშმარიტად განახორციელოს ღმერთისგან ბოძებული უზენაესი უფლება—ერისა და პიროვნების თავისუფლება. მაგრამ ყოველმა აგრესორმა და ოკუპანტმა ნათლად უნდა გაიგოს—მონობის ჟამი დასრულდა.

ახლოვდება თავისუფლების წამი!
ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია
საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი

01.09.1989 წ. ქ. თბილისი

მიმართვა

ესტონელ ერს! ესტონეთის ყველა ოპოზიციურ ძალას!

ესტონელი ერის მიერ დაწყებული სამართლებრივი ბრძოლა დამოუკიდებლობისა ვის, რომელსაც მხარს უჭერენ თავიანთი ქვეყნების სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლი სხვა ერები, აშფოთებს საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს. საბჭოთა იმპერია ყოველთვის ცდილობს გააღვივოს ეროვნებათაშორისი შუღლი—პრობლემა, რომლის მანიპულირებითაც მეტროპოლია ხელოვნურად ქმნის დაძაბულ სიტუაციას და ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას დამოუკიდებლობისათვის შოვინისტურად ნათლავს. თავისუფლების იდეას უპირისპირდება მითი რეალურ ცხოვრებაში არარსებული მცირე ერების ჩაგვრის შესახებ. იმპერიული წრეები ზოგჯერ ახერხებენ ზოგიერთი ეთნიური ჯგუფის წარმომადგენელთა პროვოცირებას და ამით ქმნიან ერთაშორისი შუღლის არსებობის შთაბეჭდილებას. შეცდომაში შეყავთ საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველამ უნდა გაიგოს ტოტალიტარული რეჟიმის ვერაგული პოლიტიკა.

საქართველოს ოპოზიციურ ძალებს, მათ შორის საქართველოს სამართალ-რადიკალურ პარტიას და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირს კარგად ესმით ესტონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული ბრალდებების სიმძიმე.

მაგრამ მწარედ სცდებიან ისინი, ვინც მომავალშიც აპირებს გააგრძელოს ამგვარი პოლიტიკა. ვერაფერი დაუდგება წინ ღმერთის მიერ ბოძებულ ერისა და პიროვნების თავისუფლებას.

მიიღეთ ჩვენი თანადგომა!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია
საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი

01.09.1989 წ. ქ. თბილისი

ნ ო ტ ა

საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს გ-ნ გივი გუმბარიძეს!

საქართველოში უკანასკნელ ხანს მომხდარმა ამბებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა კრემლის ანტიქართული პოლიტიკის არსებობაში და დაგვანახა, თუ რას ნიშნავს "საბჭოური" ეროვნული პოლიტიკა. უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა აფხაზებთან, ოსებთან, აზერბაიჯანელებთან იმპერიული გეგმების განხორციელების უშუალო შედეგს წარმოადგენს. ახლახანს გამოქვეყნებული "სკკპ-ს პლატფორმა ეროვნულ საკითხში" მოწოდებულია მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაამწვავოს ეს ურთიერთობანი. ე.წ. "ჰორიზონტალური სტრუქტურის" სისრულეში მოყვანა ქართველ ერს კატასტროფამდე მიიყვანს. საქართველოს მდგომარეობის განსაკუთრებულობას კიდევ უფრო ართულებს:

I. მიუხედავად დაპირებებისა, მოუგვარებელია პრობლემები აფხაზეთში. ნაცვლად იმისა, რომ I5-I6 ივლისის ქალაქ სოხუმში აფხაზთა ქართველებზე თავდასხმის მონაწილენი და ინსპირატორები გამჟღავნებულიყვნენ, გარკვეული წრეები ხელს აფარებენ ამ აქციის აღმასრულებლებს.

2. დაძაბულია ვითარება ე.წ. "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში". ორიოდე თვის წინ გამოქვეყნებული დეკლარაცია ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობის შესახებ ფუჭია და ყალბი. ოსური შოვინიზმი აუტანელი ხდება არა მარტო სამაჩაბლოში მცხოვრებ ქართველთათვის, არამედ სრულიად საქართველოსათვის.

3. გართულებულია ურთიერთობა მთის ხალხებთან: ყაბარდოელებთან, ჩერქეზებთან, ადიღეელებთან და სხვებთან – მათთან, ვინც ჩართულები არიან ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. იქმნება საშიშროება შეიქმნას კრემლის მიერ პროვოცირებული ანტიქართული ალიანსი.

4. მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნები და ინგუშები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში ობიექტურ პოზიციაზე დგანან, ვერ გარკვეულან ე.წ. "თურქი მესხების" პრობლემაში და ეს იწვევს ამ საკითხში შეუთანხმებლობას.

5. ჩიხში მოქცეული "ყარაბაღის პრობლემა" დღემდე მოუგვარებელია, რაც ქმნის იმის საშიშროებას, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს შიგა ვითარებაზე.

6. "საბჭოური ავტონომიზაციის" გაკოტრებული იდეა უცვლელი რჩება, რაც კრემლის იმპერიული ამბიციების აშკარა გამოხატვას წარმოადგენს.

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანება მოსალოდნელი კატასტროფის გარდუვალობის შემთხვევაში მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს სსრკ კომუნისტურ პარტიას, მის პოლიტბიუროს, თავისი ანტიქართული და საერთოდ დაპყრობილ ერთა მიმართ იმპერიული პოლიტიკის გამო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე:

I. გაერთიანება თავს უფლებას აძლევს მიუღებლად ჩათვალოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს შემდგომი არსებობა.

2. გაერთიანება უკანონობას უცხადებს მთელს საბჭოურ სისტემას და კატეგორიულად აყენებს თავისუფალი არჩევნების ჩატარების აუცილებლობას საქართველოს უზენაეს საკანონმდებლო ორგანოში – ეროვნულ საპარლამენტო.

3. გაერთიანება მოითხოვს თავისუფალი არჩევნების ჩატარებას საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ, რათა თავიდან იქნას აცილებული საქართველოში საბჭოთა საოკუპაციო-დამსჯელი არმიის მიერ მორიგი ინტერვენციის განხორციელება.

4. გაერთიანება მოუწოდებს ქართველ ერს უარი განაცხადოს კრემლის კოლონიალისტურ პოლიტიკაზე, მოითხოვოს მრავალპარტიული, თავისუფალი არჩევნები, რომლის ჩატარებაც იქნება გარანტია საქართველოს მომავალი თავისუფლებისა.

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატურ გაერთიანებას მიაჩნია, რომ I92I წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად დაკარგული საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა არის ერთადერთი ხსნა ქართველი ერისა. გაერთიანება იტოვებს უფლებას მოუწოდოს სრულიად საქართველოს საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ თავისუფლების მოთხოვნით.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

14.09.1989 წ.
ქ. თბილისი

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია
საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი

ქ. თბილისი 29.09.1989 წ.

მიმართვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მონაწილეებს!

ქართველი ერის ისტორია წმიდათაწმიდაა და ხელშეუხებელი, ასე ფიქრობს ყველა, ვისთვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება უპირველესი საზრუნავია. ისტორიისადმი არაობიექტური დამოკიდებულება მომაკვდინებელია ერისათვის და მისი მომავლისათვის, რადგან სიყალბე და სიცრუე მხოლოდ და მხოლოდ ბორკილების სამჭედლოში დგანან.

მიმდინარე სესიაზე განსახილველად უნდა გამოიტანონ 1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთსა და დემოკრატიულ საქართველოს შორის დადებული საზავო ხელშეკრულება, როგორც სამართლებრივი დოკუმენტი და მისი დარღვევა რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის მიერ 1921 წლის თებერვალში, (,ორც მოლაპარაკების მეორე მხარე-სახელმწიფოს მიერ ჩადენილი ანტისამართლებრივი აქტი. დანაშაული, რომელიც ჩაიდინა მე-II-ე წითელმა არმიამ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინაშე რუსი და ქართველი ბოლშევიკების წაქეზებითა თუ ბრძანებით, იგივეა, რაც საბჭოთა არმიის მიერ ჩადენილი დ შაულობები: 1940 წელი-ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, ბელორუსიის, დასავლეთ უკრაინის, ბესარაბიის ანექსია; 1956 წელი-უნგრეთის ოკუპაცია სასტიკი რეპრესიებით და სისხლიანი ანგარიშსწორება თბილისში; 1961 წელი-მშვიდობიანი მანიფესტანტების დახვრეტა ნოვოჩერკასკში; 1968 წელი-ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია; 1980 წელი-ინტერვენცია ავღანეთის წინააღმდეგ და ქვეყნის პატრიოტების გასანადგურებლად მოწყობილი დამპყრობლური ომი; 1989 წელი-ძალმომრეობის საშინელი აქტი თბილისში მშვიდობიანი აქციის წინააღმდეგ და სხვა მრავალი.

ცხადად გვწამს, რომ სესია ამგვარ შეფასებას ა მისცემს მე-II-ე წითელი არმიის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ, ისევე, რ ,ც სა ,ხელმძღვანელებრივად არ შეფასდება არც 1921 წლის 5 თებერვალი და არც 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების დარღვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იძულებული გახდებოდა გამოეცხადებინა საბჭოთა რუსეთი აგრესორად და საქართველოს შესვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სამართლებრივი ნორმების დარღვევად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია ამგვარ გადაწყვეტილებას არ გამოიტანს და აქედან გამომდინარე, მიიღეთ ჩვენი კატეგორიული

ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1. სამართლებრივი ნორმების დაცვით გამოცხადდეს 1921 წლის 25 თებერვალი ბოლშევიკური რუსეთის აგრესიად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების უხეში დარღვევით.

2. საქართველოს შესვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცნობილ იქნას, როგორც არასამართლებრივი ინკორპორაცია საოკუპაციო ჯარების მიერ დამყარებული საბჭოური რეჟიმის მეშვეობითა და ხელშეწყობით.

3. სხვა ნებისმიერი გადაწყვეტილება მიუღებელი იქნება ქართველი ერისათვის, როგორც სამართლებრივად, ისე მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით.

4. უკანონო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანება იტოვებს საპროტესტო აქციის მოწყობის უფლებას, როგორც დამოკიდებულებას ერთპარტიული უმაღლესი საბჭოს მიმართ.

რამდენადაც ერთპარტიული უზურპაცია არასოდეს დათანხმდება უარი განაცხადოს თავის პრივილეგირებულ მდგომარეობაზე, ამდენად ერთადერთ ხსნად მიგვაჩნია მრავალპარტიული სისტემა, როგორც გარანტი ჭეშმარიტი დემოკრატიისა. მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით აღიარებული დემოკრატია და არა მისი საბჭოური სუროგატი არის გზა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ.

გამომდინარე

მ ო ვ ი ო ხ ო ვ თ

1. მმართველობამ მონაწილეობა მიიღოს საერთო-სახალხო კენჭისყრის მომწყობ კომისიაში, რომელშიც შევლენ საქართველოს ყველა ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები.

2. მმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობა ამ კომისიის მუშაობაში იქნება მხოლოდ პარიტეტულ პრინციპებზე და განიხილება, როგორც ერთობლივი მუშაობა დეკონსტრუქცია-დეკოლონიზაციის პროცესში.

3. საერთო-სახალხო კენჭისყრის ცენტრალური კომისია, ისევე როგორც მისი ხელმძღვანელობა ყველა რეგიონალური კომისია, უფლებამოსილი იქნება დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებაში.

4. მმართველობის უარყოფითი პასუხი განიხილება, როგორც დემოკრატიის და თავისუფლების წინააღმდეგ ვადაშერება.

მიზანი ნათელია-საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საბოლოო სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის!
ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია
საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი

რიგის კონფერენცია

21-23 აგვისტო. 1989 წ.

თემა: ერთა თვითგამორკვევა და თანასწორობა.

ქალბატონებო და ბატონებო!

ლატვიის ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობის სახელით მივესალმები კონფერენციის ყველა მონაწილეს!

პირველ ყოვლისა მინდა მივესალმო ჩვენს სტუმრებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან: სენატორ რობერტ კასტენსს, ჩვენს თანამემამულეს, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორს იურის ვიკსნინსს;

მივესალმები სტუმრებს გფრ-დან-დეპუტატებს ვიღფრიდ ბ,ემს, ჰანს ეგრაფს, კლაუს იეგერს, სენატორ ზბიგნევ რომაშევსკის პოლონეთიდან, პროფესორ დეივიდ რიგენს დიდი ბრიტანეთიდან, ასევე დასავლეთ და შუა ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოების წარმომადგენლებს.

მივესალმები ჩვენს ბედში მყოფ ძმებს-ესტონელებს, ლიტველებს, სომხებს, ქართველებ ,, მოლდაველებს, უკრაინელებს, ბ ,ლორუსებს, მოსკოველ მეგობრებს, რომლებ ,ც ჩამოვიდნენ კონფერენციაზე.

მივესალმები მათაც, ვისაც სურდა კონფერენციაში მონაწილეობა, მაგრამ ვერ მიიღო შემოსასვლელი ვიზები.

დღეს ჩვენ ისტორიული მოვლენის მოწმენი ვართ: პირველად იქნა მოწვეული კონფერენცია აღმოსავლეთ ბლოკში ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხებზე. ამ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ერის, ასევე სსრკ-ს შემადგენლობაში მყოფი ყველა მცირერიცხოვანი ერისათვის. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები პირველად შეაფასებენ, თუ რა ხდება ჩვენს თავს და რა უნდა გაკეთდეს, რათა ჩვენი ,, გადავარჩინოთ ამჟამინდელი ნგრევისა და სასოწარკვეთისაგან.

მადლიერებით ვიხსენებთ მოკავშირეების-ინგლისელების, ფრანგების და ამერიკელების-დახმარებას ახალგაბრდა ლატვიის რესპუბლიკისათვის განმათავისუფლებელ ბრძოლაში, განსაკუთრებით ბერმონტთან ომებში. და დღესაც, ჩვენ იმედით

შეიყურებიდ დასავლეთის დემოკ[illegible] ... სახელმწიფოება. საგრამ ამ იმედებს ეჭვი ღრღნის. [illegible]ვოვლი რაოდენიმე მაგალითს, რომლებიც ეჭვის საბაბს იძლევიან.

1956 წელს, შეპოდგომაზე უნგრელი ხალხი აღმოსავლეთ ევროპაში პირველი შეეცადა განთავისუფლებულიყო "უფროსი ძმისაგან", მისი მზრუნველობისაგან, რომ დამთავრდა ეს ყველაფერი, კარგად ვიცით: 6000-მა საბჭოთა ტანკმა ბიწასთან გაასწორა ეს [illegible]და.

1968 წელს სინათლის ახალი სხივი აკიაფდა-ამჟერად ჩეხოსლოვაკიაში, პრაღის გაზაფხულის დროს. როგორც ჭუჭყიანი ზღვავი, ისე გამოემარჯნენ ყოველი მხრიდან, ცით და ხმელეთით ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მეომრები საბჭოთა კავშირის მეთაურობით და ჩაახშვეს სინათლის სხივი. დღეს 21 წელი შესრულდა ამ ინვაზიიდან, რომელსაც ოფიციალურად მეგობრულ დახმარებას უწოდებდნენ. მოვიგონოთ იგი!

XX საუკუნეში, როდესაც არსებობს საერთაშორისო ქცევის ნორმები, 1956 წელს უნგრეთზე, ოლო 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმა წარმოადგენს დანაშაულს უნგრელი, ჩეხი და სლოვაკი ხალხის წინაშე. და მაინც, დასავლეთის სახელმწიფოებმა პოლიტიკური და სამეურნეო გარიგებები დადეს დამნაშავეებთან. ამან მძიმე, დამთრგუნავი შთაბეჭდილება დატოვა-მოთაღად აკეთებს იმას, რაც სურს და არავინ უწევს სერიოზულ წინააღმდეგობას. დასავლეთში ყველას არ ესმის ბალტიისპირეთა მეცალინეობის, დასავლეთის ქვეყნების ნაწილს მაგალითად ესტონელთა მიერ მიღებული ჩომები თავისთავადობის [illegible]ნარჩუნებისათვის /კანონი არ ეკუთვნის წესაბებ/, ოემოკრატიის პრინციპების [illegible]ალვილად [illegible]ანაწილია.

ვიმედოვნებ, რომ კონფერენცია დაეხმარება დასავლეთის ქვეყნებს უკეთ გაგებოთ. ვიმედოვნებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, [illegible]ერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი გამოვლენ წინააღმდეგობა ბალტიისპირეთის საკითხის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საკითხის [illegible]ებით გადაჭრაზე [illegible]ბულია მსოფლიოს პოლიტიკური მდგრადობა.

ვიმედოვნებთ, რომ დიდი სახელმწიფოები არ მიიღებენ გადაწყვეტილებას ჩვენი ერის, ასევე სხვა მცირერიცხოვანი ერების ბედის ზურგს უკან, გამომდინარე თავიანთი შერკანტილურ-ეგოისტური ინტერესებიდან.

ამა წლის 23 აგვისტოს სრულდება 50 წელი მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დადებიდან, რომელმაც გახსნა გზა ესტონეთის, ლატვიის და ჩემი სამშობლოს, ლატვიის ოკუპაციისათვის.

ჩემი გათელილი და დამცირებული ხალხის სახელით მოგიწოდებთ და ვიმეორებ: "ქირს ოკუპაცია!" დაე ეს მოწოდება გახდეს ჩვენი კონფერენციის დევიზი!

გმადლობთ ყურადღებისათვის!

ოლბერდ ძენიტისი, საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ლატვიის ეროვნულ განთავისუფლების მოძრაობის გამგეობის წევრი.
21 აგვისტო.

არ გინდა დაიჯერო!

ამა წლის 15 აგვისტოს შემატყობინეს, რომ 9 აპრილის შემდეგ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების ვოინიცკის და მაისურაძის მეთაურობით და მოსკოვიდან ჩამოსული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ასზე მეტი თანამშრომლის მონაწილეობით, მზადდება პროვოკაცია საქართველოს ეროვნული მოძრაობის აქტივისტების წინააღმდეგ. კერძოდ, მათ მისცეს მითითება თავიანთ მსტოვრებს, მოსკოვში წაელით აგენტების მიერ საქართველოს საწარმოებიდან მოპარული დეტალებისაგან დაკომპლექტებული და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობები. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და მოსკოვის მეტროში ნაპოვნი ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომლებიც როგორც გამოირკვა არ ფეთქდება, მეტი დამაჯერებლობისათვის თბილისურ გაზეთებში იყო გახვეული. იმ საბაბით, თითქოს ეძებდნენ მათ დამამზადებლებს, დაიწყო საქართველოს ეროვნული მოძრაობის აქტივისტთა სატელეფონო საუბრების მასიურად მოსმენა. აგენტებს მიეცათ მითითება საწარმოებში შეეგროვებინათ მილების ჩამონაჭრები, დამხშვეელები, დეტონატორები, ასაფეთქებელი ნივთიერება. ხოლო თანამშრომლებმა ფარულად უნდა შეკრიბონ ეროვნული მოძრაობის აქტივისტთა თითის ანაბეჭდები. შემდეგ მასობრივად დამზადდება ასაფეთქებელი მოწყობილობები. მათი ნაწილი უნდა აფეთქდეს საქართველოს ტერიტორიაზე. ნაწილი მის ფარგლებს გარეთ. ასაფეთქებელ მოწყობილობებზე იქნება აქტივისტთა თითის ანაბეჭდები. მათი რაოდენობა უკვე 5000-ს აღწევს.

პროვოკაციის ჩატარების დროდ დანიშნულია 1989 წლის სექტემბერ-ოქტომბერი.

კომპეტენტური პირები ამტკიცებენ, რომ თითის ანაბეჭდის საგნიდან საგანზე გადატანის ტექნიკა არსებობს.

ეს ცნობა, რომლის უტყუარობის შემოწმება მე არ შემიძლია, განვაცხადე საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე 17 აგვისტოს და წინასაარჩევნო კრებებზე 18 და 19 აგვისტოს. კრების მონაწილეთაგან გავიგე, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლები ნამდვილად დადიან საწარმოებში, ინტერესს იჩენენ მილებისადმი, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მოსკოველი მაღალჩინოსანი თანამშრომლები ნამდვილად ცხოვრობენ სასტუმროში ჩიტაძის ქუჩაზე, მაგრამ ისინი თბილისში ჩამოვიდნენ 9 აპრილამდე, რათა ეხელმძღვანელათ 9 აპრილის ოპერაციისათვის.

თავს მოვალედ ვთვლი საზოგადოებას ვაუწყო ეს ცნობები იმ სახით, როგორც ვიცი მე.

ნოდარ ნათაძე, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე.
განცხადება გაკეთდა 23 აგვისტოს, საქართველოს დელეგაციის მიერ გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

მინაწერი. რიგის საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა და პარტიებმა - საქართველოს სამართალ-რადიკალურმა პარტიამ /ირაკლი ბენგელია, გიზო კორძაძე, გიორგი ხონელიძე, ირაკლი მელაშვილი/, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ /ირაკლი ქადაგიშვილი, გიორგი ახალაია/, წმიდა ილია მართალ ა საზოგადოებამ /ბერაბ კოსტავა/, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ /თემურ [illegible], გიორგი ჯინჭარაძე/, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ /თამარ ჩხეიძე/, საქართველოს ეროვნული განთავისუფლების მოძრაობამ /ტარიელ ღვინიაშვილი/, საქართველოს სახალხო ფრონტმა /ნოდარ ნათაძე, მიხეილ ნანეიშვილი, ავთანდილ იმნაძე/ კონფერენციას ესწრებოდნენ გაზეთ "ქართული ფილმის" რედაქტორი ქ-ნი ნატო ციციშვილი, ფოტოკორესპონდენტი იური ზეჩითავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№1

ლატვიის ოკუპაციის 50 წლიანი 50 წლის აანმიზეზ, დასავლეთის რადიოგადაცემები ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში წარმოებული საინფორმაციო ბლოკადის მიუხედავად, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი ჩაგრული ერის სულისკვეთების ამაღლების, ომისშემდგომი თაობის ისტორიული და პოლიტიკური განათლების საქმეში. ამის გამო მათ ლატვიელი ხალხის ნდობა და მადლიერება დაიმსახურეს.

ჩვენთვის, ლატვიელებისათვის, ძნელი გასაგებია უკანასკნელ თანებში მომხდარი მეტამორფოზა-რადიოგადაცემებში გამოთქმულია დიამეტრალურად საწინააღმდეგო და არათანმიმდევრული მოსაზრება ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის საშინაო პოლიტიკის შესახებ. ჩვენ ბრალად გვდებენ ნაციონალიზმს და რუსი იმიგრანტების დისკრიმინაციას. ვფიქრობთ, რომ ეს არის ბალტიის ხალხებზე პოლიტიკური დაწოლის ცდა. ამის მიზეზი შესაძლოა ისაა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ახლო მათვის კარგად ცნობილი მოსაზრებებით ცდილობენ ხელი შეუწყონ გორბაჩოვს თავს მოახვიოს ბალტიის ხალხებს ახალი საბჭოთა ხელშეკრულება. კომუნისტურ საბჭოთა კავშირში არსებული ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ამგვარი ხელშეკრულების შედეგი ნათელია-ბალტიის ერების სრული განადგურება.

კონფერენციის მონაწილენი მოუწოდებენ დასავლეთის ჟურნალისტებს, მათ დამფინანსებლებს, აშშ კონგრესს, რომ კვლავ იყვნენ დანამიმდევრულნი თავიანთ მხარეჭერაში. მათ თავის თავზე უნდა აიღონ საყოველთაო ზნეობრივი პრინციპებიდან და დასავლეთის დემოკრატების მიერ აღიარებული ერთა თვითგამორკვევის უფლებიდან გამომდინარე მოვალეობა. ეს მოვალეობა არ არის და არც უნდა იყოს მიმართული სხვა ერების დისკრიმინაციისკენ.

№2

1989 წლის 23 აგვისტოს სრულდება 50 წელი მას შემდეგ, რაც დაიდო მოლოტოვ-რიბენტროპის დანაშაულებრივი პაქტი ჰიტლერულ გერმანიასა და სტალინურ საბჭოთა კავშირს შორის. ამ პაქტის შედეგად მოხდა სამი სუვერენული სახელმწიფოს, ერთა ლიგის წევრების-ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის-ანექსია და მათი ძალადატანებითი ინკორპორირება საბჭოთა კავშირის იმპერიის შემადგენლობაში. 1940 წლის 14 და 15 ივლისს უცხო ძალების, საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ჯარების, თანდასწრებით დაიდგა საარჩევნო ფარსი. არჩევნების პროცესიცა და მისი შედეგიც განიხილება როგორც საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა. არჩევნებს მოჰყვა 1940 წლის 21 ივლისს მიღებული "დეკლარაცია ლატვიის სსრ შექმნისა და მისი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლის შესახებ". ეს დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით არაკანონიერია. იგი უნდა ჩაითვალოს ბათილად და გაუქმებულად ხელმწერის მომენტიდან, როგორც შედეგი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციური ინტერვენციისა. ლატვიელი ხალხის ნება უგულვებელყოფილი და გაყალბებული იქნა-მოხდა კონსტიტუციური ძალმომრეობა, რადგან ერის პოლიტიკური სტატუსი არ შეიძლება შეიცვალოს საყოველთაო რეფერენდუმის გარეშე.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კონფერენციას მიაჩნია, რომ საკანონმდებლო აქტები, მიღებული ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში ოკუპაციის წელს-1940 წელს, არაკანონიერია ხელმწერის მომენტიდან.

კონფერენცია მხარს უჭერს ბალტიის ქვეყნების გაერთიანებულ აქციას-"ბალტიის ქვეყნების გზას", რათა საერთაშორისო საზოგადოების და საბჭოთა კავშირის ყურადღება მიაპყროს ამ სახელმწიფოების ოკუპაციის ფაქტს, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება.

კონფერენცია მიიჩნევს, რომ ბალტიის ქვეყნების სურვილი თვითგამორკვევისა და თავისუფლების აღდგენისა აშკარად ჩანს და არც შემდგომში უნდა იყოს იგნორირებული. კონფერენცია მოუწოდებს ბოლო მოელოს საბჭოთა ოკუპაციას ბალტიის სახელმწიფოებში.

№3

1989 წლის 23 აგვისტოს აღინიშნება 50 წელი მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტისა, რომელიც დაიდო ორ ტოტალიტარულ სუპერსახელმწიფოს-ფაშისტურ გერმანიასა და ჰიტლერულ საბჭოთა კავშირს შორის. თავისი საიდუმლო აქტებით პაქტმა ფარულად გზა გაუხსნა მეორე მსოფლიო ომის დაწყებას. მუხლმა, რომელიც ეხება გავლენის სფეროების გაყოფას, ხელი შეუწყო აღმოსავლეთ ევროპაში აგრესიის განხორციელებას. სუვერენული სახელმწიფოები-ლატვია, ლიტვა და ესტონეთი-საბჭოთა აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ. ამ ქვეყნების ანექსიამ და ოკუპაციამ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ იმპერიაში ძალმომრეობითი ინკორპორირებით გამოიწვია მკვიდრი მოსახლეობის ასიმილაცია გენოციდისა და კოლონიზაციის მეთოდებით.

ოკუპაციის მთელ პერიოდში საბჭოთა მთავრობა დაუფარავად უგულვებელყოფდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ოკუპირებული ტერიტორიის უფლებას-აღიღგინოს დამოუკიდებლობა. იგი არ აღიარებდა იმას, რომ ეს ტერიტორიები მოპოვებულია უკანონოდ, ძალის გამოყენებით. საბჭოთა მთავრობა უგულვებელყოფდა აგრეთვე კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ ოკუპირებული ქვეყნების უფლებებს, მართონ საკუთარი ტერიტორიები.

ნახევარსაუკუნოვანი ჩაგვრის განმავლობაში სასოწარკვეთილებამდე მისული ბალტიის ხალხები მოთმინებით იტანდნენ ტანჯვას. მათ ურყევად სწამდათ, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს. დღეს ისინი აღდგნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საბრძოლველად.

ჩვენ, საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი, ხაზს ვუსვამთ, რომ საბჭოთა კავშირის აგრესია ბალტიის ქვეყნების მიმართ არის საერთაშორისო მშვიდობიანობის დარღვევა. ჩვენ გვსურს საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და განსაკუთრებით, ევროპის ქვეყნების ყურადღება მივაპყროთ იმ ფაქტს, რომ ვიდრე საბჭოთა სუპერსახელმწიფო არ აღიარებს თავის საერთაშორისო დანაშაულს ბალტიის ქვეყნების მიმართ, საბჭოთა კავშირის ახალი მიმართულება პოლიტიკაში ჩაითვლება უბრალო თვალთმაქცურ იდეოლოგიურ თამაშად.

ჩვენ მოვუწოდებთ ევროპის ხალხებს, მხარი დაგვიჭირონ ბრძოლაში თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის. ჩვენ ვთხოვთ ევროპის ქვეყნებს, მიმართონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მოთხოვნით, რომ ბალტიის ქვეყნების ოკუპაცია საბჭოთა კავშირის მიერ კვა-

იფიცირებულ იქნას, როგორც აგრესიის აქტი და მოითხოვონ ისი შედეგების გაუქმება.

ჩვენ მივმართავთ მთელი მსოფლიოს ქრისტიანებს და სოფლიო ეკლესიათა საბჭოს, დაგვეხმარონ და მხარი დაუჭირონ ბალტიის ქვეყნების მოძრაობას თავისუფლებისაკენ.

ჩვენ მოვუწოდებთ მათ ბალტიის ქვეყნების ტერიტორიალური უფლებების აღიარებისაკენ. ეს ნაბიჯი იქნება ლოგიკური და სრულიად აუცილებელი, რათა გაგრძელდეს ბალტიის ქვეყნების ანექსიის არცნობის პოლიტიკა.

კონფერენციაზე თქმული სიტყვა
22.08.1989.

ქალბატონებო და ბატონებო!
ღრმადპატივცემულო სტუმრებო!
ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება მივაპყრო საქართველოს მდგომარეობის ზოგიერთ ასპექტს საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გამოცხადებული "დამოუკიდებლობის აქტი" იყო შედეგი რუსეთის იმპერიის მიერ 1801 წელს დაწყებული და XIX საუკუნის 60-იან წლებამდე გაგრძელებული ანექსიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის წარმოებული ბრძოლისა. "აქტმა" საშუალება მისცა ქართველ ერს და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნულ უმცირესობას დაეწყო დემოკრატიული განვითარება. დეკლარაციაში განცხადებული იყო: "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს". "დამოუკიდებლობის აქტის" დემოკრატიული იდეები ჩამოყალიბდა საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ-პარლამენტმა. დამოუკიდებელი რესპუბლიკის პოლიტიკურ დოქტრინაში დაკანონებული იყო გაფართოებული თვითმმართველობა აფხაზეთის/სოხუმის ოლქის/, მუსულმანური საქართველოს/ბათუმის მხარის/და ზაქათალისა/ზაქათალის ოლქის/-ასევე დაკანონებული იყო ყველა ეროვნული უმცირესობის უფლებები; მათ მინიჭებული ჰქონდათ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლება.

1921 წლის 21 თებერვალს ასევე დამტკიცდა "დებულება აფხაზეთის ავტონომიური თვითმმართველობის შესახებ". განმარტებისათვის დავუმატებთ, რომ "დებულების" პროექტი შეიქმნა 1920 წლის 20 დეკემბერს აფხაზეთის ეროვნული საბჭოსა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წარმომადგენლებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა 1918 წლის 8 ივნისს. მასში კერძოდ ნათქვამია:

ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში იქმნება აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოსტი.

ბ. აფხაზეთის საშინაო საქმეებს მართავს აფხაზეთის სახალხო საბჭო.

გ. აფხაზეთის სახალხო საბჭო განაგებს აფხაზეთის ფინანსებს და სხვ.

1921 წლის 27 იანვარს ერთა ლიგის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარება შე ქცზე საშუალებას იძლეოდა მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოებთან თანაცხოვრებით, საკუთარი საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის შემდეგ აშენებულიყო და განვითარებულიყო ის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც აირჩიეს ქართველმა ერმა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხებმა. "კანონი მოქალაქეობის შესახებ", "კანონი თავისუფალი პროფკავშირების შესახებ", "კანონი თავისუფალი შრომის შესახებ", "კანონი კერძო საკუთრების შესახებ", "ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან ოპტაციის შესახებ"- არასრული სია იმ დემოკრატიული საფუძვლებისა, რომელთა დახმარებითაც დამოუკიდებელმა საქართველომ დაიწყო სამართლებრივი სახელმწიფოს შენება.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა დაარღვია რა 1920 წლის 7მაისს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება მისი დენონსაციის გარეშე, მოახდინა მთელი ტერიტორიის ოკუპაცია და იარაღის გამოყენებით ძალადობით დაამხო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობა, დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით.

1921 წლის 17 მარტს საქართველოს პარლამენტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დროებით შეჩერებულად გამოაცხადა საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება, რითაც არ სცნო საბჭოთა ხელისუფლების კანონიერება. იმავე წლის 19 მარტს საქართველოს მთავრობამ დატოვა ოკუპირებული სახელმწიფოს ტერიტორია კაპიტულაციის გამოცხადების გარეშე. 1921 წლის 21 აპრილს ემიგრაციაში გაკეთდა განცხადება, რომ მთავრობა აგრძელებს მისთვის პარლამენტის მიერ მინიჭებულ მანდატს, როგორც ქართველი ხალხის ერთადერთი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი. ამგვარად საქართველოს არც პლებისციტით, არც რეფერენდუმით არ მიუღია საბჭოთა ხელისუფლება როგორც კანონიერი, ხოლო ე.წ. "საქართველოს საბჭოების I ყრილობის დელეგატთა არჩევნები" 1922 წელს ჩატარდა საოკუპაციო ჯარების ხიშტებქვეშ და რსდმპ/ბ/ ამიერკავკასიის ბიუროს უხეში ჩარევით.

საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით არსებობს ანექსიის ორი ფორმა. პირველი ფორმაა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ძალდატანებით მითვისება, ხოლო მეორე-ოკუპირებულ ქვეყანაში მმართველობის მარიონეტული რეჟიმის შექმნა, ეკონომიკური და პოლიტიკური ხელშეკრულებების კაბალური პირობები და ა.შ. თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ნათქვამს, საქართველოში განხორციელდა ანექსიის მეორე, ფარული ფორმა.

დემოკრატიულმა ევროპამ, მოწინავე ქვეყნებმა, დასავლეთის ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, ერთა ლიგამ დაგმო რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის ვერაგობა. 1922 წელს გენუის კონფერენციაზე საქართველოს საკითხი დღის წესრიგში იდგა-მოლაპარაკების მონაწილეებმა საბჭოთა რუსეთს მოსთხოვეს საქართველოს ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მსოფლიო არენაზე დიპლომატიურ მოლაპარაკებებში საქართველო 1933 წლამდე წარმოდგენილი იყო ემიგრაციაში მყოფი მთავრობით. 1924 წელს, თებერვალში შეიქმნა "საქართველოს დაცვის ინტერნაციონალური კომიტეტი". ახლადშექმნილი სსრკ-ს შეიარაღებული ძალების მეშვეობით ქართველი ხალხის საერთოეროვნული აჯანყების ჩახშობის შემდეგ ერთა ლიგამ განაცხადა პროტესტი, უწოდა აჯანყებას ომი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. სსრკ-ს მთავრობამ ეს განცხადება მიიჩნია სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად.

ამგვარი იყო ბედი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელმაც დამოუკიდებლობა დაკარგა ბოლშევიკური აგრესიის შედეგად.

კრემლის ოფიციალური პოლიტიკა საქართველოს მიმართ რომ არ შეცვლილა, ჩანს ახლახან გამოქვეყნებულ "სკკპ პლატფორმაში" ეროვნულ საკითხზე. მასში კვლავ ნათქვამია "ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ერთ სახელმწიფოში ნებაყოფ-

ლინი გაერთიანების" შესახებ. ოკუპაციის ბალტიის სახელმწიფოების-ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის- ანექსია დაკავშირებულია სსრკ-ს, როგორც სახელმწიფოს ისტორიასთან და ფასდება როგორც სწორედ ამ სახელმწიფოს ანტისამართლებრივი მოქმედება, საქართველოს ოკუპაციისა და იძულებითი სოციალიზაციის საკითხი ეჭვის ქვეშ აყენებს სსრკ-ს შექმნის საფუძველს-ე.წ. "დამოუკიდებელი საბჭოთა სახელმწიფოების" ინკორპორაციას Real union-ში კავშირის სასარგებლოდ ცალკეული საერთაშორისო სამართალსუბიექტების სუვერენიტეტის დათმობით. არსი 1922 წლის ხელშეკრულებისა, რომლითაც შეიღახა ე.წ. "ზოკაეშირე რესპუბლიკების" უფლებები, დღესაც არ იცვლება. უფრო მეტიც, მზადდება ახალი ხელშეკრულება. ძველის განახლებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც დაკანონდება ყველა რესპუბლიკის უუფლებობა, მათ შორის-ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, საქართველოს-სახელმწიფოების, რომლებმაც გარკვეული პერიოდი იარსებეს საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ de facto და de jure -დ აღიარებულებმა. დამეთანხმებიან მეგობრები უკრაინიდან და სომხეთიდან იმაში, რომ მათმა ქვეყნებმა მიიღეს აღიარება de facto მაგრამ ვერ მოასწრეს de jure -დ დამკვიდრება, რადგან რუსეთის იმპერიიდან გამოყოფის შემდეგ ძალიან მალე მოხდა მათი "სოვეტიზაცია".

"სუვერენული საბჭოთა სახელმწიფოების სტატუსს" როგორც ეს "პლატფორმაშია" წარმოდგენილი, არ შეუძლია სრული და თავისუფალი განვითარების გარანტირება, და ამდენად რეალურ ცხოვრებაში ვერ მოახდენს თავისუფლების იდეების ხორცშესხმას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საბოლოდ მუშავდება სსრკ კონსტიტუციის ბუნდოვანი ადგილები არა "საბჭოთა სახელმწიფოს" დესაღინიზაციის, არამედ ყველა ერის, ეროვნების და ეროვნული უმცირესობის, მათ შორის დამოუკიდებელი სახელმწიფოების საბოლოო სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური დეტერმინაციის სასარგებლოდ. ე.წ. "საბჭოთა ფედერალიზმის" თანამედროვე იდეოლოგები ძველი გზით მიდიან, "ახალი ფედერაცია" ძველი ტრადიციების ერთგულია: ძალაში რჩება ცნება "ერთიანი საბჭოთა ხალხისა", რომელიც შეიქმნა დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად. როგორც "პლატფორმაშია" განცხადებული "დღეს არ არის ტერიტორია, სადაც ერთად არ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები", და ამგვარი ასიმილატორული პოლიტიკა საბჭოთა სახელმწიფოს მიღწევად ითვლება. პოლიტიკური წყობის საფუძვლების და განვითარების შემუშავება, თავდაცვა, სახელმწიფო უშიშროება, საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკის, მეცნიერების და კულტურის საერთო ამოცანების გადაჭრა, პირველნების მდგომარეობა და სხვ. კვლავ კავშირის კომპეტენციაში რჩება. ყველაფერი ეს ნათლადაა ნათქვამი, მაგრამ არ არის გამოთქმული აზრი იმის შესახებ, თუ რა ლეგალურად როგორ უნდა განხორციელდეს ერის თვითგამორკვევის უფლება თვით დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე. თვითგამორკვევის მექანიზმი მოქმედ კონსტიტუციაში მოყვანილი არ არის, არ იქნება არც ახალ კონსტიტუციაში, არ იქნება ასასრულებელი. როგორც "პლატფორმაშია" ნათქვამი, "სოციალიზმი ... გულისხმობს ხალხთა მეგობრულ თანაცხოვრებას, რომელთაგან თითოეულს უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის, კულტურის, ტრადიციების, ენის შენარჩუნების უფლება და რეალური შესაძლებლობა." ჩვენთვის უეჭველია, რომ სოციალიზმი, ყოველ შემთხვევაში "ველიკოდერჟავული", ეწინააღმდეგება ცხოვრების თავისუფალ განვითარებას, რადგან წარმოდგენილი პოსტულატი ეწინააღმდეგება იმ პრინციპს, რომლის მიხედვითაც "ყველა ერს ყოველთვის აქვს უფლება სრული თავისუფლების პირობებში განსაზღვროს, როდის და როგორც სურს, თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარეშე ძალის ჩაურევლად და განახორციელოს შეხედულებისამებრ თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება".

საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში, ყოველ შემთხვევაში რეალურ პოლიტიკაში, ერთა თვითგამორკვევის რეალიზაციის მექანიზმი არ არსებობს. უფრო ზუსტად, ყველაფერი დაიყვანება სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობაზე. სუბიექტმა, პოლიეთნიკურმა ან მრავალსახელმწიფოებრივმა ქვეყანამ უფლება უნდა მისცეს ნომინალური სუვერენიტეტის მქონე მცირე სახელმწიფოს ან რომელიმე ერს თვითგამორკვევის პრინციპით განახორციელოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირება ან განსაზღვროს სხვა ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სტატუსი. ერთპარტიული რეჟიმი ხელისუფლების საბჭოური სისტემით არ იძლევა ამის გარანტიას. ჩვენი ღრმა რწმენით, მრავალპარტიული სისტემის გარეშე, რომელიც არის დემოკრატიის გარანტია, შეუძლებელია თვითგამორკვევა, რადგანაც მრავალპარტიულობაზე გადასვლა შეუძლებელია მხოლოდ ერთ რესპუბლიკაში, მისი მიღწევა უნდა მოხდეს ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთში, საქართველოში, თავად რუსეთში და იმ რესპუბლიკებში, რომელთაც სურთ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

გმადლობთ!

კომენტარის სანაცვლად.

ანექსირებულ იქნა თუ არა საქართველო 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ?!

თითქოს დავა-კამათს არ უნდა იწვევდეს საკითხი! თუ შევეცდებით იმჟამინდელი ისტორიული ვითარების ნაწილობრივ წარმოდგენას, მოვლენათა განვითარების სქემა ამგვარად ჩამოყალიბდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში:

დადებითი და სამართლებრივი:

1. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭო აცხადებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

2. 1920 წლის 7 მაისს იდება საზავო ხელშეკრულება რსფსრ-სა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

3. 1921 წლის 26 იანვარს ერთა ლიგა სცნობს საქართველოს de jure.

უარყოფითი და ანტისამართლებრივი:

1. 1921 წლის 26 აგვისტოს, მოსკოვში, ბოლშევიკური რუსეთისა და თურქეთის დელეგაციებს შორის წარმოებული მოლაპარაკების შედეგად ხდება იმ ხელშეკრულების პროექტის პარაფირება, რომელიც დაიდო 1921 წლის 16 მარტს და რომლის ძალითაც საქართველოს ისტორიული მიწები გადაეცა თურქეთს.

2. 1921 წლის 11 თებერვალს საზავო ხელშეკრულების დენონსაციის გარეშე ბოლშევიკური რუსეთის ჯარები თავს ესხმიან საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ეწევიან მის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს, რის შედეგადაც საქართველოში მყარდება უზურპაციული საბჭოთა ხელისუფლება.

ამორალური და უზნეო სახე რუსული ბოლშევიზმისა:

1. ჯერ კიდევ 1918 წლის 3 მარტს, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების დროს, ლენინის მთავრობა საქართველოს მიწებს თურქეთს უნაწილებს.

2. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ზავის დადების დროს ლენინის მთავრობა სცნობს მას გარკვეულ საზღვრებში, ხოლო თურქეთთან მოლაპარაკების ყამს, 1920 წლის აგვისტოში, ახდენს სულ სხვა სასაზღვრო ზოლზე შეთანხმებული ხელშეკრულების პროექტი პარაფირებას.

3.1920 წლის აგვისტოს მოლაპარაკების დროს რუსი ბოლშევიკები არ მალავენ თავიანთ განზრახვას საქართველოს დაპყრობის თაობაზე, რის შესახებაც აცნობებენ თურქეთის დელეგაციას-საქართველოს განაწილების განზრახვით.

4.1918-1921 წლებში ბოლშევიკური მთავრობა ლენინის მეთაურობით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართავს ათასგვარ პროვოკაციას ერის მიერ არჩეული მთავრობის დამხობის მიზნით.

5.1921 წლის 16 მარტს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის/ბოლშევიკების/ კავკასიის ბიურო ქმნის საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს/ე.წ. მთავრობას/, რომელიც აცხადებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

6.1921 წლის 27 თებერვალს საქართველოს "მთავრობა" დეკრეტის ძალით ქართულ ფულთან ერთად თანასწორ უფლებებს ანიჭებს "საბჭოურ" ფულს.

7.საქართველოს დამფუძნებელი კრება 1921 წლის 17 მარტის თავის ბოლო სხდომაზე დროებით შეჩერებულად აცხადებს იმავე წლის 21 თებერვალს დამტკიცებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას და მთავრობასთან ერთად 19 მარტს ტოვებს ოკუპირებული სახელმწიფოს ტერიტორიას კაპიტულაციის გამოცხადების გარეშე.

8.1921 წლის 24 მარტს, ბოლშევიკური რევკომი საქართველოს დამფუძნებელ კრებას დათხოვნილად აცხადებს სამართლებრივი ნორმების აშკარა დარღვევით.

9.1921 წლის 21 მაისს, საქართველოს "გასაბჭოებულ რესპუბლიკასა" და ბოლშევიკურ რუსეთს შორის იდება "სამოკავშირეო" ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სამეურნეო და სამხედრო საქმეებს განაგებს მოსკოვი.

10.1922 წლის 25.II-3.III საოკუპაციო ჯარების ხიშტებზე დაყრდნობით ჩატარებულმა საბჭოების I ყრილობამ მიიღო პირველი "საბჭოური" კონსტიტუცია, რომლის პროექტიც წარუდგინეს "დელეგატებს" 1 მარტს და დაამტკიცეს 2 მარტს.

11.1922 წლის 12 მარტს, საქართველო "შევიდა" ამიერკავკასიის ფედერალურ კავშირში, იმავე წლის 13 დეკემბერს ამიერკავკასიის ფედერაციაში, ხოლო 1922 წლის 30 დეკემბერს ინკორპორირებულ იქნა საბჭოთა კავშირში, Real-union-ში, სუვერენიტეტის საბოლოო დაკარგვით და მისი იურიდიული გაფორმებით სსრკ და სსსრ კონსტიტუციებში.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით სახელმწიფო ანექსირებულად ითვლება:

1.მისი მიწების აშკარა მიტაცებით:

ა.სოჭის ოლქი გადაეცა რსფსრ-ს, მასვე გადაეცა ნაწილი მიწებისა შუა კავკასიონის კალთებზე.

ბ.საინგილო გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ს, მასვე გადაეცა ბორჩალოს ნაწილი.

გ.ტაშირის ოლქის ნაწილი გადაეცა სომხეთის სსრ-ს.

დ.ტაო-კლარჯეთი გადაეცა თურქეთს.

2.მარიონეტული რეჟიმის შექმნით, კაბალური ხელშეკრულებებით და სხვ.

ა.1921 წლის 16 თებერვალს მარიონეტული რევკომის ჩამოყალიბება.

ბ.1921 წლის 27 თებერვალს დეკრეტი "რუსულ-საბჭოური" ფულის საქართველოში შემოტანის შესახებ.

გ.1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებით საქართველოს იურიდიული გადასვლა რუსეთის ქვეშევრდომობაში ფედერალური მმართველობის წესით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობა დაკარგული იქნა ბოლშევიკური რუსეთის/ასევე მისი სატელიტი აზერბაიჯანის სსრ-სა, სომხეთის სსრ-ს და მოკავშირე თურქეთის/ მიერ, როგორც ლია, ისე ფარული ანექსიის განხორციელებით.

ანექსიის დღევანდელი იურიდიული ფორმა:

1.საქართველოს მიწა-წყალი წარმოადგენს საერთაშორისო-სამართლებრივ საკუთრებას ჯერ კიდევ 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებით, რაც დოკტრინის სახით გაფორმდა ყველა შემდეგ "საბჭოურ" კონსტიტუციაში.

2.საერთაშორისო სამართლით ნებისმიერი სახელმწიფოს **ტერიტორიად ითვლება** დედამიწის ის ნაწილი, რომელზეც ვრცელდება ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტი. ქართველერს დღეს ტერიტორია არ გააჩნია.

სხვა სამართალდარღვევები ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ:

1.1921 წლის 25 თებერვალს თბილისში პოლიტიკური ამნისტიის საფარქვეშ ციხიდან განთავისუფლებულ იქნენ სისხლის სამართლის დამნაშავენი/დეკრეტი №1/.

2.1921 წლის 26 თებერვალს შეიქმნა საგანგებო კომისია/ჩეკა-დღევანდელი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი/, სადაც თავი შეაფარეს წინა დღის ამნისტიის შედეგად განთავისუფლებულმა ნაძირალებმა/ბრძანება №2/.

3.1921 წლის 30 მარტს საქართველოში სავალდებულო გახდა ქართული ფულის თანაბრად აზერბაიჯანის სსრ-სა და სომხეთის სსრ-ს ფულის ნიშნების შემოღება/ბრძანება №22/.

4.ყველა სხვა ბრძანებები, დეკრეტები, ნორმატიული აქტები თუ სხვა სახის "კანონები" ითვლება არასამართლებრივად, რადგან **ისინი მიღებულია** ხელისუფლების სათავეში არაკანონიერი, უზურპაციული გზით მოსული მმართველობის მიერ.

თუ რა გზა გაიარა საქართველომ 1921 წლიდან დღემდე, მიმოხილვა ამისი ამ სქემატური წერილის ჭარგლებს სცილდება.

საქართველოს მდგომარეობის სამართლებრივი ანალიზი და შეფასება, როგორც წარსულისა, ისე აწმყოსი, ჯერ კიდევ წინაა. ამ ანალიზმა და შეფასებამ უნდა შექმნას სამართლებრივი საფუძველი **ქართველი** ერის თავისუფლებისა და საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის აღდგენისა.

მცირე ბიბლიოგრაფია შენიშვნებითურთ

საქართველოს დამოუკიდებლობა და სამართლებრივი პრობლემები

1.1783 წელს დაიდო ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის - ხელშეკრულება მეგობრობისა და მფარველობის შესახებ/ივ.ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. ქართველი ერის ისტორია. ტომი მეხუთე. თბილისი. 1953 წ. O.Nipold. La Georgie du point de vue du droit intern. Bern. 1920 /.

2.1790 წელს დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველოს სამეფო-სამთავროებს: ქართლს, კახეთს, იმერეთს, საქართველოს, გურიას შორის ქვეყნის ერთიანობის შესახებ ქართლ-კახეთის სამეფოს სიუზერენიტეტით. რუსეთის იმპერიამ, რომელსაც არ სურდა საქართველოს გაერთიანება, მიიღწია სეპარატული ხელშეკრულებების დადებას სხვადასხვა სამეფო-სამთავროებთან უკვე ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ / Г.Гвазава. Грузия с точки зрения международного права. Тифлис. 1917 г./.

3.წინააღმდეგ 1783 წელს დადებული ტრაქტატით ნაკისრი სამოკავშირეო ვალდებულებისა, რუსეთის იმპერიამ არ გაუწია

სამხედრო დახმარება ქართლ-კახეთის სამეფოს, რასაც მოჰყვა ქვეყნის განადგურება 1795 წელს სპარსეთის შემოსევის შედეგად / ლიი ლე ფიური. საქართველო და საერთაშორისო უფლება. პარიზი. 1933 წ. ქართული თარგმანი/.

4. 1801 წელს რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ გამოქვეყნებული ორი მანიფესტით /იმპერატორ პავლესა და იმპერატორ ალექსანდრე I/ ცალმხრივი წესით დაარღვია ტრაქტატის პირობა, პროტექტორატის ნაცვლად მოახდინა საქართველოს ანექსია და იგი აქცია რუსეთის შემადგენელ ნაწილად/კ. ინასარიძე. პატარა "ოქროს ხანა". საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წწ. მიუნხენი. 1984 წ. ლ. ლე ფიური. დასახელებული ნაშრომი/.

5. კავკასიაში ერთი შეხედვით ქრისტიანობის პოზიციები გამაგრდა იქ რუსეთის იმპერიის დამკვიდრებით, მაგრამ საიმპერატორო კარის პოლიტიკა პატარა ქვეყნის მიმართ სრულიად არ შეესაბამებოდა ქრისტიანობას. მეტიც, 1811 წელს გაუქმებულ იქნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გადასახლებულ იქნა რუსეთში, ხოლო ქართული ეკლესია დაემორჩილა რუსეთის სინოდს/ევ. ნიკოლაძე. საქართველოს ეკლესიის ისტორია. თბილისი. 1917/.

6. საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე ევროპის სახელმწიფოები არ სცნობდნენ საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში მყოფ სახელმწიფოდ. პარიზის 1856 წლის კონგრესზე მიღებული ტრაქტატით მინიშნებული იყო საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობა, ხოლო 1876 წლის ბერლინის კონგრესზე საქართველოზე, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ სახელმწიფოზე, საერთოდ არ იყო საუბარი /ლ. ლე ფიური. დასახ. ნაშრ. Г. Гвазава. Грузия...

7. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამართლებრივ გაფორმებას წარმოადგენდა ქართველი ერის მიერ ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე 1907 წელს წარდგენილი პეტიცია თავისი უფლებების აღდგენის თაობაზე / ლ. ლე ფიური. დასახ. ნაშრ./.

8. 1917 წლის თებერვალში იმპერიის დანგრევის შემდეგ საქართველოს მიეცა რუსეთისაგან გამოყოფის საშუალება ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციის/სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებთან ერთად/, ხოლო 1918 წლის 26 მაისიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით / დამოუკიდებლობის აქტი. თბილისი. 1918 წ. Документы и материалы по внешней политике Закавказия и Грузии. Тбилиси. 1919 г./.

9. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სცნეს მსოფლიოს რიგმა სახელმწიფოებმა de facto და de jure 1918-1921 წ.წ. /კ. ინასარიძე. პატარა "ოქროს ხანა". საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მიუნხენი. 1924/.

10. 1920 წლის 7 მაისს დაიდო ხელშეკრულება ორ სუვერენს, საბჭოთა რუსეთსა და დემოკრატიულ საქართველოს შორის, საქართველოს სუვერენის საერთაშორისო უფლებების სრულად ცნობის შესახებ რუსეთის მხრიდან/ "ერთობა", № 125 11. 06. 1920 წ. РСФСР и Грузинская демократическая республика. Москва. 1922 г./.

11. 1920 წლის 11 იანვარს ვერსალის კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ სცნო საქართველო de facto, 1921 წლის 27 იანვარს კი - de jure /ლ. ლე ფიური. დასახ. ნაშრ./.

13. 1921 წლის 11 თებერვალს საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, 1920 წლის საზავო ხელშეკრულების უგულებელყოფით, საბჭოთა რუსეთმა საომარი მოქმედებები დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, რაც ლოგიკური დასასრული იყო იმ პროვოკაციებისა, რასაც რუსეთის ბოლშევიკური მმართველობა მიმართავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეებში ჩარევისა და იქ საბჭოური რეჟიმის დამყარების მიზნით/დაპყრობის 60 წლისთავი. პარიზი. 1981 წ./.

13. 1921 წლის 16 თებერვალს ე.წ. "საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა" თავი საქართველოს მთავრობად გამოაცხადა. ამის საპასუხოდ და საქართველოზე ბოლშევიკური არმიების თავდასხმისათვის პასუხისმგებლობის გამო, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ რუსეთის წითელი არმიის მხარეზე მებრძოლნი და მხარდამჭერნი სამშობლოს მოღალატეებად გამოაცხადა, როგორც ოკუპაციაში მონაწილეობის მიმღები პირები/დაპყრობის 60 წლისთავი. პარიზი. 1981 წ./.

14. 1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ თავის ბოლო სხდომაზე სახელმწიფოს კონსტიტუცია, მიღებული იმავე წლის 21 თებერვალს, გამოაცხადა დროებით შეჩერებულად, ხოლო 19 მარტს მთავრობასთან ერთად დასტოვა ოკუპირებული ტერიტორია/გრ. ერემოვი. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული. თბილისი. 1983/.

15. 1921 წლის 21 აპრილს პარიზში გამოქვეყნებული მემუარით საქართველოს მთავრობამ გააგრძელა მისთვის საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მინიჭებული მანდატი, როგორც ქართველი ერის ნების ერთადერთმა გამომხატველმა (Documents relatifs a la question de la Societé des Nations).

16. საოკუპაციო ჯარებზე დაყრდნობით და რსდმპ/ბ/ კავკასიის ბიუროს უხეში ჩარევით საქართველოს რესპუბლიკა იქცა "საბჭოთა სახელმწიფოდ", რომელიც 1921 წლის 21 მაისის კაბალური ხელშეკრულებით უშუალოდ დაექვემდებარა მოსკოვის ბოლშევიკურ მთავრობას. 1922 წლის 12 მარტს ე.წ. დამოუკიდებელი სახელმწიფო გააერთიანეს ამიერკავკასიის ფედერალურ კავშირში, 1922 წლის 13 დეკემბერს ამიერკავკასიის ფედერაციაში, ხოლო 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა კავშირში, Realunion-ში, რის ხარჯზე მან სრულიად დაკარგა სუვერენიტეტი, კავშირის სასარგებლოდ/ფაქტები ამოღებულია გრ. ერემოვის დასახელებული ნაშრომიდან/.

17. საქართველოს სუვერენიტეტის ნომინალურად ცნებად ქცევა, შესაბამისად დაკარგვა, იურიდიულად გაფორმდა სსრკ და სსსრ კონსტიტუციების სხვადასხვა მოდიფიკაციებში. ერთი ლოგის მიერ კონკრეტულ საზღვრებში ნაცნობი საქართველოს ტერიტორიებიდან: სოჭის ოლქი გადაეცა რსფსრ-ს და მასვე გადაეცა მიწების ნაწილი შუა კავკასიონის კალთებზე. საინგილო გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ს, მასვე გადაეცა ბორჩალოს ნაწილი. ტაშირის ოლქის ნაწილი გადაეცა სომხეთის სსრ-ს. ტაო-კლარჯეთი გადაეცა თურქეთს. აღსანიშნავია, რომ რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების პროექტის პარაფირება მოხდა 1920 წლის 26 აგვისტოს მოსკოვში. ამ პროექტით გათვალისწინებული იყო საქართველოს კუთვნილი მიწების გადაცემა თურქეთისათვის, რაც აშკარა გამოხატვას წარმოადგენდა ანტიქართული განწყობისა, თუმცა კრემლელი პოლიტიკოსები აგრესიულ დამოკიდებულებას დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ არც მალავდნენ / Документы внешней политики СССР. Москва. 1959 г. Ali Fuat Cebesoy Moskova hatiralari. Istanbul. "Watan" neşriyati. 1955.

18. საქართველოს ოკუპაცია ევროპის სახელმწიფოებმა არაკანონიერად მიიჩნიეს. ეს დამოკიდებულება აშკარად გამოიკვეთა გენუის კონფერენციაზე 1922 წელს, ლოზანის კონფერენციაზე 1922-1923 წ.წ., რაც მთავარია, თავად აგრესია დაგმობილ იქნა დასავლეთის მოწინავე ქვეყნების რიგი პოლიტიკური პარტიების მიერ. ასევე დაგმო რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის ვერაგობა ერთა ლიგამ/დაპყრობის 60 წლისთავი. პარიზ 1981 წ. ლ. ლე ფიური. საქართველო... Journal offic. de la S.D.N., 1922).

19. საქართველო არ შეეგუებია თავის მდგომარეობას. ამაზე მეტყველებს 1924 წლის საყოველთაო ეროვნული აჯანყება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. აჯანყება სასტიკი რეპრესიებით იქნა ჩახშობილი. ერთა ლიგამ პროტესტი განაცხადა რუსეთის ბოლშევიკური არმიის ვანდალობის გამო და ამ აჯანყებას უწოდა ომი საქართველო-საბჭოთა რუსეთს შორის. ლიგის მეხუთე სხდომაზე. შეტანილი რეზოლუცია რიგი სახელმწიფოების მიერ თხოვდა წევრ-სახელმწიფოებს მშვიდობიანი გავლენით დახმარებოდნენ საქართველოს (Journal offic...).

20. მსოფლიო არენაზე დიპლომატიურ მოლაპარაკებებში საქართველო წარმოდგენილი იყო 1933 წლამდე დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობით.

ირაკლი შენგელაია

წერილები

დაგვიანებული ღია წერილი გურამ ფანჯიკიძეს
/1989 წლის 26 ივლისის "კომუნისტში" გამოქვეყნებული წერილის გამო/

ბატონო გურამ!...დღეს ჩვენი ერი რომ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის იბრძვის, ეს თქვენც კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ. ცნობილია, სიცოცხლის შენარჩუნების ინსტიქტი რომ ძალიან ძლიერია, ჰოდა ერსაც, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, ეს ინსტიქტი დღეს გაუძლიერდა, რაც გამოიხატება იმ მოძრაობაში, რასაც ადგილი აქვს ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში.

თქვენ დაფიქრებისაკენ მოუწოდებთ ერს /არამარტო თქვენ/, გონივრულობისაკენ, ერთსულოვნებისაკენ, ტაქტიკური და სტრატეგიული მოქმედებისაკენ, ერთ მუშტად შეკვრისა და შედუღაბებისაკენ, საყვედურობთ ახალგაზრდობას, რომ "მოწყდა გამოცდილებას, განათლებას, მოწყდა იმ თვისებებს, რომლებმაც უნდა შეავსოს და დაამძიმოს ახალგაზრდული სიფიცხე და ენერგია".

ბატონო გურამ! მრავალი ათეული წელია დაფიქრებულნი ვიყავით, ლოზუნგებიც "გონივრული" გვქონდა: "დიდება პარტიას", "დიდება შრომას", დიდება, დიდება, დიდება...დაგვამარცხა ამ "დიდებამ", შეგვშალა, თითქმის წაგვართვა აზროვნების უნარი და ბოლოს ჩაგვაფიქრა. ვფიქრობდით და იმდენი ვიფიქრეთ, რომ იქ, ზემოთ, აღარ მოეწონათ ჩვენი ამდენი ფიქრი, გამოგვაფხიზლეს და როგორც გამოგვაფხიზლეს, კარგად იცით. ჯერ ენის წართმევა მოგვინდომეს. ცოტა ავფორიაქდით, ფიქრს თავი დავანებეთ და როდესაც მთავრობის სახლთან შეკრებილებს პანტასავით გვესროლეს, ქართული ენა სახელმწიფო ენა იქნებაო, დავწყნარდით, კვლავ ჩუმი ფიქრი დავიწყეთ, თუმცა ენა სახელმწიფო ენად ვაღიარებინეთ და დავაკანონებინეთ, მაგრამ ამას არაფერი მოჰყოლია, ქართველი ბავშვები დღემდე შეჰყავთ რუსულ სკოლებში არა რუსული ენის ტრფიალის გამო, არამედ მათი მომავლის უზრუნველყოფისათვის.

ახლა გეყოფათ ამდენი ფიქრიო, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მოგვცეთ საშუალება ამოგვქლიტოთ, ხომ უნდა ავისრულოთ საუკუნო ოცნება-"საქართველო უქართველებოდო", გაინძერით და მოგვართვეს "ლიხნის წერილი"-აჰა, წაგართმევთ აფხაზეთს, აფორიაქდით და ავფორიაქდით, ძლიერადაც ავფორიაქდით და ფიქრს თავი დავანებეთ, გამოვფხიზლდით, "გონივრული" პლაკატებიც "უგუნური" პლაკატებით შევცვალეთ. რატომ არ მოგწონთ: "ძირს კომუნისტური რეჟიმი", "ძირს რუსეთის იმპერია", "გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს"? გამოცდილება ახალგაზრდობას აბა რისი უნდა ჰქონდეს, გარდა შიშისა, განათლება კი ჩვენი ახალგაზრდობის დიდ ნაწილს ძალიანაც [illegible] აქვს, იმაზე [illegible], ვიდრე მის პირობებში მყოფს შეიძლება ჰქონდეს, ეს მან /ახალგაზრდობამ/ ბევრჯერ დაამტკიცა.

ტაქტიკური და სტრატეგიული მოქმედება გვმართებსო, ბრძანებთ. [illegible], დიდებულია ტაქტიკა და სტრატეგია, მაგრამ ეს ორივე მაშინ გჭირდება, როცა მტერი აშკარად მტერია, როცა შემოგესევა, საზღვარს გადაგილახავს და დაუფარავად დაპყრობას დაგიპირებს. ასეთ მტრებს სწორედაც ტაქტიკასა და სტრატეგიას ვახვედრებდით და ჩვენზე ათასობით მეტსაც ვამარცხებდით. გახსოვთ ალბათ ისტორია. მაგრამ მტერი, რომელიც ორი საუკუნეა თავს გაზის მეგობრისა და ძმის სახელით, რომელიც ოცნებობს აგლგავოს პირისაგან მიწისა და შენს ღვთისგან კურთხეულ ქვეყანაში უშენოდ იბატონოს, მტერი, რომელიც ძენივე უნებისყოფო თუ განდიდების მანიით შეპყრობილი, ლაჩარი თუ გულ ვიადი თანამემამულის ხელით გიღებს ბოლოს, ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად, ნაკუწ-ნაკუწ გშლის, ასეთ მტერთან რა სტრატეგიაზე და ტაქტიკაზე შეიძლება ლაპარაკი?! ჩვენი სტრატეგია და ტაქტიკა მშვიდობიანი გზით მომავლის მოპოვებაა, ჩვენ არამც და არამც არ გვინდა სისხლი და ცრემლი, რამეთუ სისხლით მოპოვებული "ბედნიერება" სისხლითვე წარიხოცება. ყველას, ვისაც საქართველო უყვარს, ვინც მისი მომავლისათვის ფიქრობს და ზრუნავს, მხოლოდ ძალადობის გარეშე, მშვიდობიანი, გონიერებითა და აზრით მოპოვებული მომავალი ესახება. ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ ამას, ბატონო გურამ?! ის სისხლი კი, რომელიც დაიღვარა, დაიღვარა იმიტომ, რომ მისი დაღვრა დიდი ხნის წინ იყო დაპროგრამებული და რომ არა ქართველი ერისკაცების სიბრძნე /მე არ მეშინია ამ სიტყვის ხმარება მათ მიმართ/ კიდევ მეტი, ძალიან ბევრი სისხლი დაიღვრებოდა და ერის მომავალიც ამ სისხლს გაჰყვებოდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ასე არ მოხდა.

ჯერ ცხრა აპრილმა და მერე 15 ივლისმა გაგვამთლიანა და არავითარ შემთხვევაში არ არის ეს მოჩვენებითი კონსოლიდაცია, არ არის მცდარი ჩვენი მოქმედება, მაგრამ ძნელია ებრძოლო გარკვეული სისტემით მტერს, რომელიც 200 წელია გსწავლობს, გაკვირდება და მეთოდურად იმუშავებს ტაქტიკას შენს მოსასპობად. და აი, ჩვენი სუსტი თვისებების გათვალისწინებით 200 წლის მუშაობის შემდეგ შეიმუშავა შესაშური სტრატეგია და ტაქტიკა და დადგა ჟამი ჩვენი ყოფნა-არყოფნისა. სხვადასხვა დაჯგუფებანი, პარტიები, მიტინგები, გამოსვლები და სხვა არის ერის საციცოხლო იმპულსების ამოძრავება, სიცოცხლის შენარჩუნების მძლავრი ინსტიქტის ამოქმედება. თქვენ კი, ბატონო გურამ, ფიქრისკენ მოგვიწოდებთ, ტაქტიკისაკენ და სტრატეგიისაკენ, მიკვირს, როგორ ვერ ხედებით, რომ ერის არსებობა წუთებს ითვლის და რომ მხოლოდ ღვთისა და ზეცის იმედიღა გვაქვს.

არ გეკადრებათ ახალგაზრდების ლანძღვა. "სამშობლოს ბედ-იღბალზე სერიოზულად შეშფოთებულ და დაფიქრებულ მამულიშვილებს მიეტმასნენ ხელმოცარული ადამიანები, რომლებმაც იპოვეს უშრომელი დიდების იოლი გზა". -ბრძანებთ თქვენ. სამშობლოს ბედ-იღბალზე შეშფოთება არ შეიძლება იყოს სერიოზული ან არასერიოზული. უშრომელი დიდებაც გაუგებარია რას ნიშნავს! დიდებას ვერც შრომითა და ვერც უშრომელად ვერ მოიპოვებ. იგი თავისთავად მიდა მასთან, ვინც აიკვება და დაიწვის სინათლისათვის, სიკეთისათვის, რათა "სიძნელე გზისა გაუადვილოს" მომავალ თაობებს. სამშობლოს ბედ-იღბალი კი არა, ბატონო გურამ, საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას დღეს, თქვენ კი სიტყვებით კეკლუცობთ, მამულიშვილობასა და ერის ჭირისუფლ-

ესს გვიმტკიც ,ეთ,რამეთუ "სერიოზულად დაფიქრებულთა" ბანაკში,აღლაა,თქვენი თავიც შერაცხეთ.ხელმოცარულ სტუ-დენტებზე,მეცნიერებზე,ხელოვნების მუშაკებზე,სხვადასხ-ვა ფენისა და დარგის წარმომადგენლებზე ბრძანებთ:"თა-ვისი ნიჭით რომ ვერაფერი შექმნეს და ახლა რომ განსა-კუთრებით აქტიურობენ და სუპერრადიკალური ლოზუნგებით ცდილობენ ყურადღების მიქცევასო",-სირცხვილია,ბატონო გურამ,დღეს ასე დაწვრილმანება,ქვენა გრძნობების აღ-ზევება,ხელმოცარულ ადამიანთა განქიქება! ნუ დაგავიწ-ყდებათ,რომ ჩვენ ყველანი ხელმოცარულნი ვართ,თქვენც, მეც,ყველა,რადგან მთელი სიცოცხლე სიყალბეს ვემსახურეთ, თავის კატუნსა და ტაშის გრიალში გავატარეთ.აბა,გადა-ხედეთ თქვენს მიერ განვლილ გზას,დაიხედეთ ხელისგულებ-ზე,დააკვირდით და შეამჩნევთ ტაშისკვრით გაჩენილ ბებე-რებს,რომლებიც ჯერ კიდევ არ მოგშუშებიათ,ამიტომ როდი-ონოვის რისხვაში,აგრესიულად მორჩილ უმრავლესობათა ტა-მისცემაში და ურცხვი,გაზულუქებული,ნებიერა და გახრწ-ნილ უცხოეთთა თავდასხმაში ნუ ადანაშაულებთ თქვენს საცოდავ ხალხს,განწირულს,გულდაგლეჯილს,სიტყვა და უფ-ლებააყრილს.ჩვენი სავალალო შედეგები სამოქმედო გეგმის უქონლობამ და გაუანალიზებელმა სტიქიურმა მოქმედებამ კი კი არ მოიტანა,არამედ ცბიერმა და როსკიპი ქალივით ურ-ცხვმა მტერმა.უცხოეთის ზოგიერთი ქვეყანა,სხვათაშორის არაადამიანური აღტკინებით შეხვდა სულ ახლახან წარმო-მადგენელს იმ მთავრობისას,რომელმაც ჩვენს წინააღმდეგ ორღესული ნიჩები და მომწამლავი გაზები გამოიყენა.

რეფორმაციისაგან.

ამ ბოლო ხანს ერთი ფრიად შემაწუხებელი ტენდენცია შე-იმჩნევა საზოგადოებაში, რაც მაინცადამაინც კარგ სამსა-ხურს ვერ უწევს ერის ცხოვრებასთან დაკავშირებული რიგი პრობლემების გადაჭრას. შორსა ვართ იმ აზრისაგან

ქართველი ერის მოძრაობაში დამოუკიდებლობისაკენ ბევრი ისეთი ადამიანი ჩაება დღეს, რომელთა საქმიანობა რამოდ-ენიმე ხნის წინ ვიწროსპეციალურ ჩარჩოებს არ გასცილებია და ამით ამოწურული ამ მოღვაწეთა ინტელიგენტთა პარტიოტული მოღვაწეობა. ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება ერის სამ-სახური წარმართოს ისე, როგორც მას ხელწიფება და სწამს. მაგრამ ამ ადამიანთა საყურადღებოდა უნდა ითქვას, რომ არც ერთ პიროვნებას არ ეკუთვნის მენტორობა და პრეტენზიუ-ლი ტონით დაპარაკი, რაც არ უნდა ჰქონდეს გაკეთებული და მით უმეტეს, თუ მისი ნაღვაწი საეჭვო ღირებულებისაა.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია სისხლიანი ანგარიშსწორების გამომძიებელ კომისიაში ზო-გიერთი პიროვნების, თუნდაც საკმაოდ დამსახურებულისა წარსულში, მოწვევის საკითხმა. კერძოდ, როდესაც კამათი შეეხო ამ კომისიაში სამუშაოდ ბატონ ანდრია სახაროვის მოწვევას, საზოგადოების აზრი ორ ნაწილად გაიყო - მხურ-ვალე მხარდამჭერებად და მხურვალე მოწინააღმდეგეებად. გაიმარჯვეს მხარდამჭერებმა და აკადემიკოსი მოწვეულ იქ-ნა ქართველი ერის სახსნელად. შედეგი პირდაპირ საოცარი გამოდგა, ერთი შეხედვით მაინც. ადამიანის უფლებათა და-ცვის ერთ-ერთმა ინიციატორმა საბჭოთა იმპერიაში არათუ არ მიიღო ტრაგედიის გამომწვევი მიზეზებისა და დამნაშა-ვეების გამოაშკარავების მოსურნე კომისიის მუშაობაში /სამწუხაროდ იყო ამგვარი ილუზია, რომ სიმართლე გაირკ-აი,ეს არის,ბატონო გურამ,თქვენი უცხოეთის ქვეყნები. ისინი უნდა გააფრთხილოთ,რა არის კომენდანტის საათი და არა ჩვენ,ჩვენ ვიცით,ნა-შიც ვიწვნიეთ და ახლაც,იმათ უნდა იცოდნენ,რომ თუ ხმას არ ამოიღებენ,თავისი კეთილ-დღეობის შენარჩუნებისათვის თუ ასეთ სამარცხვინო გზას დაადგებიან და ჩვენს ტრაგედიას ლოკალურ და არა გლობა-ლურ მოვლენად მიიჩნევენ,დღეს თუ ხვალ,მათ მოკირწყლულ და სტერილურად მოსუფთავებულ ქუჩებშიც შეჯირითდება რუ-სული ტანკი.

ძველი ჭეშმარიტებაა,იარაღის ტრიალში არ ისმის სიმა-რთლის ხმაო,ასრულებთ თქვენს წერილს ამ სიტყვებით. ოღონდ ვერ გავიგე,ვის იარაღზეა აქ ლაპარაკი,ჩვენი "დამ-ცველი ჯარისა","მფარველთა"მიერ გაცემულ აზერბაიჯანელ და აფხაზ ტერორისტთა იარაღზე თუ ქართველთა სანადირო თოფებზე,რომლის ხმასაც ესოდენ შეუწუხებია თქვენი ყურ-თასმენა.

"დღეს,როგორც არასდროს"... პათეტიურად იმეორებთ ამ ფრაზას და კვლავ გონიერებისაკენ მოგვიწოდებთ.მე კი გეტ ყვით,ბატონო გურამ,რომ დღეს,როგორც არასდროს დამცირე-ბულნი,განადგურებულნი,გაღახულნი და დარბეულნი ვართ, მაგრამ დღეს,როგორც არასდროს გვინდა სიცოცხლე და მიუხე-დავად ყოველივესი,გვწამს,რომ მომავალი ჩვენი იქნება, რადგან ჩვენთან არს ღმერთი!

ნანა დოლიძე

ვიოდა/ მონაწილეობა, არამედ კიდევ უფრო არაკეთილმოსურ-ნე ნაბიჯი გადადგა ქართველთა წინააღმდეგ - საქართველო "პატარა იმპერიად" გამოაცხადა. ბატონ ან.სახაროვის მო-წვევის მომხრეებს რომ გაეკითხათ, თუ რა პოზიციისა იყო წარსულში ერთვნული საკითხების მიმართ პატივცემული აკა-დემიკოსი, დარწმუნებული ვართ თბილისში ჩამოსვლით არ შეაწუხებდნენ მხცოვან ადამიანს. მავანთ და მავანთ ხელი შეუშალა სურვილმა, რაც შეიძლება სწრაფად ჩადგომოდნენ ერთვნულ მოძრაობას ავანგარდში იმის გაუთვალისწინებლად, რომ სამართალდაცვითი მოძრაობის ჩასახვის უბუალო მონაწ-ილენი თუ თვითმხილველნი გაცილებით უკეთ იცნობდნენ ნობ-ელის პრემიის ლაურეატის მშვილობის დარგში შესანიშნავი ფიზიკოსის /და მაინც არა ქართველთა მეგობრის/ ნააზრევს.

მეორე მაგალითი. ქართული პრესის ფურცლებზე გაჩნდა სტატია-ინტერვიუ ასევე ცნობილ რუს დისიდენტთან ლევ კო-პელევთან. აღწერილი იყო მისი მარტვილობა იმპერიის პო-ლიტიკური სტაგნაციის პერიოდში, მისი ბრძოლა და სხვა ასეთი. მაგრამ პუბლიკაციის ავტორებსა თუ მის მხარდამ-ჭერებს მხედველობიდან გამორჩათ ერთი "უმნიშვნელო" დეტ-ალი - ლევ კოპელევი იყო პირველთაგანი იმათ შორის, ვინც ქართველი ერი აფხაზების მჩაგვრელად გამოაცხადა. მიზეზი კონფუზისა არის ის, რომ ლევანდელი ავტორებმა არ იცოდ-ნენ რუსი დისიდენტის აზრი ამ კონფლიქტზე, არც ის, რომ მთელი ქართული საზოგადოება შეძრული იყო ამ ტენდენციური აზრის გაგების შემდგომ კოპელევის თბილისში სტუმრობის ჟამს და ა.შ.

ავანგარდში ყოფნის სურვილი კარგია და მისასალმებელი, მაგრამ უფრო კარგი იქნება მენტორობის ცული ტონის გარეშე.

რედაქტორი - ირაკლი შინეგელია. სარედაქციო ჯგუფი - ზაზა კუტალია, ეკა სუმბათაშვილი.

© გამომცემლობა "თავისუფალი აზრი".

რედაქციასთან დაკავშირება შეიძლება პარასკეობით, საღამოს ექვსი საათიდან, "მშრალ ხიდთან" მდებარე "ცხრა მარტის ბაღში" . მსურველებს მივუწოდებთ ითანამშრომლონ თავისუფალ პრესაში.

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ერთვნული სამართლიანობის კავშირ-ის ერთობლივი გამოცემები: ცნობის ფურცელი "უწყებანი", ცნობის ფურცლის საინფორმაციო დამატ-ება "ღონისძიება" და ბიულეტენი "ეროვნული სამუშაბირო" იბეჭდება შემოწირულობათა ხარჯზე. მიიღეთ მონა-წილეობა თავისუფალ გამოცემებში.

ნომერი ჩაბარებულია დასაბეჭდად 29.09.1989. იბეჭდება რო-ტაპრინტულად. ქ.თბილისი.